საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მშენებლობის პროექტირების და ექსპერტიზის ცენტრი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
CENTER OF CONSTRUCTION DESIGN AND EXPERTISE

მის. ქ. თბილისი კოსტავას 72,
სტუ-ს I კორპუსი, 431ა
ტელ. 790 73 02 15
ტელ. 20 31 30 50
მობ. 599 73 02 15

"25" ივნისი 2014 წელი

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი:	ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქუჩა №17
დამკვეთი:	შპს „ჯორჯიან ამერიკან დეველოპერები“, დირექტორი გოჩა ცერცვაძე
დასკვნის შედგენის საფუძველი:	2014 წლის 20 ივნისის ხელშეკრულება
ობიექტის დასახელება:	ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით
დაწყებულია:	2014 წლის 20 ივნისი
დასრულებულია:	2014 წლის 25 ივნისი

თბილისი
2014 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მშენებლობის პროექტირების და ექსპერტიზის ცენტრი

ვამტკიცებ,
ცენტრის უფროსი
პროფესორი _____
მ. წიქარიშვილი
თბილისი
2014 წლის "25" ივნისი

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქუჩა №17-ში მდებარე ერთსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობაზე მომიჯნავედ ახალი მშენებლობის გავლენის დადგენის მიზნით

თბილისი
2014 წელი

შემადგენლობა:

1. შესავალი
2. ექსპერტების მონაცემები
3. ექსპერტების წინაშე დასმული შეკითხვა
4. კვლევითი ნაწილი
5. დასკვნა (პასუხი დასმულ კითხვაზე)



1. შესავალი

2014 წლის „20“ ივნისს შპს „ჯორჯიან ამერიკან დეველოპერები“-ს დირექტორს გოჩა ცერცვაძისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის პროექტირების და ექსპერტიზის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაინიშნა ექსპერტიზა.

2. ექსპერტის მონაცემები

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა:

დემური ტაბატაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი მშენებლობის დარგში, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის კათედრის პროფესორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საინჟინრო აკადემიიის აკადემიკოსი, მუშაობის სტაჟი – 38 წელი.

3. ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვა

გთხოვთ ჩაგვიტაროთ ექსპერტიზა ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქუჩა №17-ში მდებარე ერთსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობაზე მომიჯნავედ ახალი მშენებლობის გავლენის დადგენის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
2. Справочник проектировщика. „Основания фундаменты и подземные сооружения“. М. 1985 г;
3. СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г.

გამოყენებული აპარატურა

1. ციფრული ფოტოაპარატი „fujifilm“;
2. ლაზერული მანძილმზომი.

4. კვლევითი ნაწილი

გამოსაკვლევი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქ. №17-ში. იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა (П-სებური ფორმის), მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 21.0×17.0 მ. შენობა ერთსართულიანია სარდაფით. მისი საძირკველი ლენტურია, ყორექვის წყობით. შენობას შიდა მხრიდან მტელ პერიმეტრზე აქვს ხის შემინული აივნები. სარდაფის კედლები აგურისაა, სისქით 52 სმ. სართულის კედლებიც შესრულებულია აგურის წყობით, სისქით 38 სმ. სარდაფის გადახურვა შესრულებულია ხის კოჭებზე ხის იატაკითაა მოწყობილი. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ორი გრძივი და რიგი განივი კედლების სისტემას. სახურავი ორქანობიანია და შესრულებულია ხის ნივნივებზე მოწყობილი თუნუქის ბურულით.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული საშიში დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს შენობის მდგრადობაზე.

აღნიშნული შენობის გვერდზე (მ. მესხის ქ. №15) შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მფლობელს სურს ზემოაღნიშნული შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და არსებული დეფორმაციების დაფიქსირება: შენობის მთავარი ფასადის მხრიდან, ფანჯრის ღიობების ქვეშ შეინიშნება ბზარები; დაზიანებულია კედელი წყლის გადამყვანი სისტემის მახლობლად; ბზარები შეინიშნება უკანა ფასადის ყრუ კედელში; შენობის შიდა ფართში ჩანს ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების ნიშნები, ასევე არის ვერტიკალური ბზარი ერთ-ერთ კედელზე, რომელიც ესაზღვრება მესხის ქ. №15-ში არსებულ ეზოს.

შენობის მდგომარეობის ამსახველი ფოტოფიქსაცია მოცემულია დანართში.



5. დასკვნა

ქ. თბილიში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქ. №17-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევით დადგინდა შემდეგი:

1. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული საშიში დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს შენობის მდგრადობაზე;
2. გამოსაკვლევი შენობის (მ. მესხის ქ. №17) მომიჯნავედ ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უარყოფით გავლენას არ მოახდენს გამოსაკვლევი შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე, თუ კი ის განხორციელებული იქნაბა სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვითა და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს არსებულ და ასაშენებელ შენობებს შორის, გაანგარიშების საფუძველზე მიღებული დაცილება.


ექსპერტები:

პროფესორი /დ. ტაბატაძე/


სპეციალისტი /ნ. კაპანაძე/

დანართი


ფოტოფიქსაცია







ფოტოფიქსაცია










ფოტოფიქსაცია







ფოტოფიქსაცია





საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მშენებლობის პროექტირების და ექსპერტიზის ცენტრი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
CENTER OF CONSTRUCTION DESIGN AND EXPERTISE

მის. ქ. თბილისი კოსტავას 72,
სტუ-ს I კორპუსი, 431ა
ტელ. 790 73 02 15
ტელ. 20 31 30 50
მობ. 599 73 02 15

"25" ივნისი 2014 წელი

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი:	ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქუჩა №13
დამკვეთი:	შპს „ჯორჯიან ამერიკან დეველოპერები", დირექტორი გოჩა ცერცვაძე
დასკვნის შედგენის საფუძველი:	2014 წლის 20 ივნისის ხელშეკრულება
ობიექტის დასახელება:	ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით
დაწყებულია:	2014 წლის 20 ივნისი
დასრულებულია:	2014 წლის 25 ივნისი

თბილისი
2014 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მშენებლობის პროექტირების და ექსპერტიზის ცენტრი

ვამტკიცებ,
ცენტრის უფროსი
პროფესორი _____
მ. წიქარიშვილი
თბილისი
2014 წლის "25" ივნისი

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქუჩა №13-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობაზე მომიჯნავედ ახალი მშენებლობის გავლენის დადგენის მიზნით

თბილისი
2014 წელი

შემადგენლობა:

1. შესავალი
2. ექსპერტების მონაცემები
3. ექსპერტების წინაშე დასმული შეკითხვა
4. კვლევითი ნაწილი
5. დასკვნა (პასუხი დასმულ კითხვაზე)

1. შესავალი

2014 წლის „20“ ივნისს შპს „ჯორჯიან ამერიკან დეველოპერები“-ს დირექტორს გოჩა ცერცვაძისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის პროექტირების და ექსპერტიზის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაინიშნა ექსპერტიზა.

2. ექსპერტის მონაცემები

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა:

დემური ტაბატაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი მშენებლობის დარგში, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის კათედრის პროფესორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საინჟინრო აკადემიიის აკადემიკოსი, მუშაობის სტაჟი – 38 წელი.

3. ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვა

გთხოვთ ჩაგვიტაროთ ექსპერტიზა ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქუჩა №13-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობაზე მომიჯნავედ ახალი მშენებლობის გავლენის დადგენის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
2. Справочник проектировщика. „Основания фундаменты и подземные сооружения“. М. 1985 г;
3. СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г.

გამოყენებული აპარატურა

1. ციფრული ფოტოაპარატი „fujifilm“;
2. ლაზერული მანძილმზომი.

4. კვლევითი ნაწილი

გამოსაკვლევი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქ. №13-ში. იგი გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით 22.0×8.5 მ. შენობა ორსართულიანია სარდაფით. მისი საძირკველი ლენტურია, მონოლითური რკინაბეტონის. კედლები სამი მხრიდან აგურის წყობითაა შესრულებული, ხოლო მეოთხე მხრიდან კი წვრილი სამშენებლო ბლოკების წყობით. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს სამი გრძივი და რიგი განივი კედლების სისტემა. შენობას აქვს ანტისეისმური სარტყელი. ზეძირველი ასევე შესრულებულია ბეტონით. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე ხის იატაკითაა მოწყობილი. სახურავი ორქანობიანია, თუნუქის ბურულით.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული საშიში დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს შენობის მდგრადობაზე.

აღნიშნული შენობის გვერდზე (მ. მესხის ქ. №15) შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მფლობელს სურს ზემოაღნიშნული შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და არსებული დეფორმაციების დაფიქსირება.

ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა არ მოახდენს შენობის მდგრადობაზე გავლენას, თუ ის დაცილებული იქნება გაანგარიშების შედეგად მიღებული ზომით.

შენობის მდგომარეობის ამსახველი ფოტოფიქსაცია მოცემულია დანართში.

5. დასკვნა

ქ. თბილიში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მიხეილ მესხის ქ. №13-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევით დადგინდა შემდეგი:

1. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული საშიში დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს შენობის მდგრადობაზე;
2. გამოსაკვლევი შენობის (მ. მესხის ქ. №13) მომიჯნავედ ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უარყოფით გავლენას არ მოახდენს გამოსაკვლევი შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე, თუ კი ის განხორციელებული იქნება სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვითა და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს არსებულ და ასაშენებელ შენობების საძირკვლებს შორის, გაანგარიშების საფუძველზე მიღებული დაცილება.

ექსპერტები:

პროფესორი /დ. ტაბატაძე/

სპეციალისტი /ნ. კაპანაძე/

დანართი

ფოტოფიქსაცია





ფოტოფიქსაცია





ფოტოფიქსაცია

